RMG AURAMINE

№ 9.715

Date 04.08.2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ის გენერალური დირექტორის
ბატონი თორნიკე ლიპარტიას

სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 03 ივნისის N2-812 ბრძანებით ბოლნისის მუნიციპალიტეტში, შპს „არ ემ ჯი აურამაინის" სასარგებლო წიაღისეულის (ოქრო-პოლიმეტარული მადნების) გაცემულია გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

საპროექტო გადაწყვეტილებით კომპანია გეგმავს ტექნოლოგიური ციკლის, წარმადობის, საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის და ფართობის შეუცვლელად საწარმოო ციკლში ჩართული მანქანა-დანადგარების განთავსების ადგილების გადანაცვლებას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით: გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურების გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ის

გენერალური დირექტორი

თორნიკე ლიპარტია

#1 M.Aleksidze Str, 3 lane, 0193 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 247 45 45
Email: info@richmetalsgroup.com
Web: www.richmetalsgroup.com

თბილისი 0193, მ.ალექსიძის ქ. #1 მე - 3 შესახვევი
ტელ: +995 32 247 45 45
ელ - ფოსტა: info@richmetalsgroup.com
ვებ - გვერდი: www.richmetalsgroup.com